



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 58
07/08/2018

58-06-4-201808071403



2018 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2018 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორიები:

- ა) ქ. ცაგერის კულტურის სახლი და მიმდებარე ტერიტორია.
- ბ) მწვანე თეატრი.
- გ) ქ. ცაგერში ლადო ასათიანის სახელობის პარკი.
- დ) ქ. ცაგერში არსებული სკვერები და თავისუფალი ადგილები, სადაც ხელი არ შეეშლება ტრანსპორტით მოძრაობას.
- ე) ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლის ცენტრები, მოედნები, თავისუფალი ტერიტორიები, სოფლის კლუბები და ბიბლიოთეკები.“

2. ეს განკარგულება გადაეგზავნოს ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №50 განკარგულება „ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის შენობების და ადგილების გამოყოფის თაობაზე.“

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა



საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო